(სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

# გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულება № 100.

ქ. წალენჯიხა 25 ივლისი 2011 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კახაბერ ციმინტიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „წალენჯიხის საგზაო სამმართველო“ დირექტორი იაკრატ ღვინჯილიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

**მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ – „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

1.4. ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველმა“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის № 201 (31.01.2011 წ) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება „მიმწოდებელთან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის თემში პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 6583 (ექვსიათასხუთასოთხმოცდასამი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს სამუშაოების შესრულებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ობუჯის თემში სამეხიოს უბანში გზის მოხრეშვის სამუშაოები

## 5. სამუშაოების მიწოდების პირობები

5.1. ვადები:
5.1. შესასრულებელი სამუშაოების მიწოდება განხორციელდება 2011 წლის 25 აგვისტომდე

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის აქტის და ექსპერტიზის დასკვნითი აქტის შესაბამისად.

## 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში, სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმა №2, ინსპექტირების ჯგუფის აქტის და ექსპერტიზის დასკვნითი აქტის შესაბამისად.

## 8. მხარეთა ვალდებულებები

### 8.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.
8.1.2 ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელთან დაათანხმოს სამუშაოების შესრულებაზე კონტროლის გეგმა-გრაფიკი.
8.1.3. ინსპექტირების ჯგუფის წევრებს წარუდგინოს შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (ლოკალური ხარჯთაღრიცხვა და ხელშეკრულება).
8.1.4. წინასწარ აცნობოს ინსპექტირების ჯგუფის წევრებს ისეთი სამუშაოების ჩატარების შესახებ რომელთა ინსპექტირება გარკვეული პერიოდის შემდეგ შეუძლებელია (იფარება მიწით ან ფილებით და უნდა შეიღებოს).
8.1.5. „შემსყიდველ"-ს წარუდგინოს ფოტო მასალა და მისი ელექტრონული ვერსია ობიექტზე სამუშაოების დაწყების, მიმდინარეობის და დასრულების ეტაპზე.
8.1.6. უზრუნველყოს სამუშაოების დასრულებაზე სათანადო ექსპერტიზის აქტის წარმოდგენა.

### 8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ხელშეკრულების დოკუმენტების „მიმწოდებლის" მიერ გადაცემის შემდგომ უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 7.1. პუნქტის შესაბამისად.

## 9. მხარეთა უფლებები

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
9.1.1. შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
9.1.2. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, სახელმწიფო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული ანაზღაურებს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 13 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით.
14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## 15. ინსპექტირების პირობები

15.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული საქონლის ინსპექტირება.

739248

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულებაში მითითებული თარიღიდან და დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

16.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 14 ივლისიდან 2011 წლის 12 სექტემბრამდე არსებული მხარეთა მიერ აღებული (წარმოშობილი) ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

17. გარანტია

17.1. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების სრულყოფილი ფუნქციონერობის ვადა შეადგენს სამუშაოების დასრულებიდან 1 წელს.

17.2. საგარანტიო ვადის პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (4 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ერთი – “შემსყიდველთან

„შემსყიდველი“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ს. კოდი 242739248

მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. III სართული. „ლიბერთი ბანკის“ წალენჯიხის ფილიალი

ბ. კოდი LBRTGE22

ა/ა GE22LB0120179460264000

ტელ: 577 56 47 47

.............................................................

კახაბერ ციმინტია

„მიმწოდებელი“

შპს „წალენჯიხის ხეგზაო სამმართველო“

ს. კოდი 24 728848.

მისამართი წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. ქ. წალენჯიხა თამარ მეფის ქ. №10

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ წალენჯიხის ფილიალი

ბ. კოდი LBRTGE22

ა/ა GE77LB0113135291325000

ტელ: 599 1 99 94.

.............................................................

ბაგრატ ღვინჯილია